ოქმი:**ო63. 63243112**
თარიღი:**06/11/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 18

ქ. სამტრედია. 4 ნოემბერი, 2024 წელი.

2024 წლის 4 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა. დაგეგმვის განყოფილების სპეციალისტი, მაკა სეხნიაშვილი.

2. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნატო ჯულაყიძე.

4. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **4 ნოემბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **4 ნოემბრის**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ.შ გ.არველაძე./

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, მე-18 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./

3. სხვადასხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

განცხადების უფლება ითხოვა საკრებულოს წევრემა, კობა ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ თანდათანობით უფრო მეტად აღმოჩნდა თუ რა დარღვევები იყო 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში. გამოჩნდა ის ძალადობრივი მეთოდები, რომელიც გამოიყენა ხელისუფლებამ არჩევნების გასაყალბებლად: ქოლცენტრები, საიდანაც ხელმძღვანელობდნენ არჩევნებში ძალადობით ხალხის მოყვანას,დამკვირვებლის მოწმობებით აღჭურვილი ე.წ. ,,ძველი ბიჭები'', მოსყიდული რეგისტრატორები, მარკირების მეთოდური დარღვევები, ბიულეტენების ჩაყრა ყუთში (დაფიქსირდა მარნეულში), ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და სხვა მრავალი მოსყიდვა და ძალადობა, რომელიც ამტკიცებს, რომ არჩევნები არ იყო სამართლიანი, დემოკრატიული და არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას. ამის გამო, პროტესტის ნიშნად, ვტოვებ საკრებულოს სხდომას. (განცხადება ოქმს თან ერთვის).

საკრებულოს წევრის, კობა ძიძიგურის განცხადებას, მწვავედ გამოეხმაურნენ საკრებულოს წევრები: ვაჟა სტურუა, მ.სირბილაძე, ლ.კრავეიშვილი.

ვაჟა სტურუამ მიმართა კობა ძიძიგურს - თქვენი გადასაწყვეტია დატოვებთ თუ არა საკრებულოს სხდომას. ბატონო კობა, თქვენ ბრძანდებოდით ქართული ოცნების გუნდის წევრი და კარგად იცით 2012 წელს, როგორი ღირსებით მოვედით. არც მაშინ და არც 2024 წლის 26 ოქტომბერს, არ ყოფილა დაფიქსირებული მსგავსი ფაქტები. მესმის, თქვენ იმ პარტიის წარმომადგენელი ხართ, რომელიც იმეორებთ ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს ტრაფარეტულად, ერთი და იგივე ფორმულირებით. ოღონდ არ არსებობს და არც დადასტურებულა ერთი ფაქტი, რომელიც დაასახელეთ. იმდენად არარეალურს საუბრობთ, რომ ფაქტის მოყვანაც არ შეგიძლიათ.

ზაზა ადეიშვილი - მეც ვიღებდი მონაწილეობას არჩევნებში. სამტრედიაში თუნდაც ერთი ფაქტი დაფიქსირდა? როგორც ვიცი არა. ფაქტების არსებობის შემთხვევაში უნდა დაიწეროს საჩივარი შესაბამისი საარჩევნო პროცესის დარღვევის შესახებ, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ. ასე, რომ მხოლოდ სიტყვები არ არის საკმარისი ასეთი ცრუ ბრალდებებისთვის.

საკრებულოს სხდომა დატოვა კობა ძიძიგურმა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს

საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

2024 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3,647.4 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 1,408.1 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 2,239.3 ათას ლარს.

2024 წლის 9 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა -5,397.2 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 2,527.0 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 33,012.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30,700.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 93.0%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:

შემოსავლები:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 32,488.9 ათასი ლარი, ფაქტიურად 27,759.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 85.4% და მთლიანი - შემოსულობების 90.4% შეადგინა.

I . გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 16,473.5 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 14,563.4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1,910.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, კერძოდ:

- **დამატებული ღირებულების გადასახადიდან[1]** მიღებულია 14,545.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 12,861.0 ათასი ლარი) 1,684.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,927.6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 1,702.4 ათასი ლარი) შედარებით 225.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

II . გრანტები.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 9,771.2 ათასი ლარი.

III . სხვა შემოსავლები.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 2,408.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1,515.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 62.9%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 2,314.8 ათასი ლარი) შედარებით 799.7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული.

IV. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 2,940.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 311.2 ათასი ლარი (არასაცხოვრებელი შენობები) და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 2,629.0 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის 9 თვეში გადასახდელების შესრულების 73.3%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.0%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2023 წლის 9 თვესთან - 26,519.7 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 1,653.3 ათასი ლარით მეტი და შეადგენს 28,173.0 ათას ლარს.

2024 წლის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ 9 თვეში შეადგინა 38,410.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 28,173.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 73.3%-ია. მათ შორის:

- **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19,360.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 15,992.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.6%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 56.8%-ია.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19,014.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 12,145.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 63.9%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 43.1%-ია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2,855.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2,776.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.2%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 17.4%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 3,061.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2,319.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 75.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 14.5%-ია.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 15.8 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 7.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 48.7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.05%-ია.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 9,379.1 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 8,543.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.1%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 53.4%-ს შეადგენს.

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 86.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 86.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8%-ს, ხოლო

ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2,020.7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,749.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.9%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: დედათა და ბავშვთა დახმარება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები; დაკრძალვის ხარჯი.

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,941.6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 509.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 26.2%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.2%-ს შეადგენს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია პრიორიტეტები:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 11,296.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (19,155.4 ათასი ლარი) 59.0%-ია;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2,832.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,255.9 ათასი ლარი) 87.0%-ია;
- განათლება - 3,845.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,374.7 ათასი ლარი) 87.9%-ია;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4,048.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,570.8 ათასი ლარი) 88.6%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2,419.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,923.1 ათასი ლარი) 82.8%-ია;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3,730.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,130.1 ათასი ლარი) 90.3%-ია;

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 55.9 ათასი ლარიდან გადარიცხულია 55.9 ათასი ლარი.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, მე-18 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში 2024 წლის 11 ივნისს, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა,*** №62-622416395 წერილობითი მომართვა,

რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის, **სოფელ დიდი ჯიხაიშის** მე-18 ქუჩის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მე-18 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების საკითხს.** აღნიშნულ მომართვას თან ერთვის მერის წარმომადგენლის, სოფელ დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუგზარ ნუცუბიძის მოხსენებითი ბარათი და დიდი ჯიხაიშის მე-18 ქუჩის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება. მინდა ავღნიშნო, რომ შალვა ნუცუბიძე გახლდათ ქართველი ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი პრორექტორი, პროფესორი. ასევე იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწე. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა განათლების, კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სამი სხდომა. მათ შორის ერთი გასვლითი სხდომა. შემდეგ წერილობითი მიმართვა თანხმობის შესახებ, გაგზავნილი იქნა სამთავრობო კომისიაში. მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს, ***რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან*** საკრებულოში შემოვიდა NRI N01/2037 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2024 წლის 20 სექტემბრის N43 სხდომის ოქმიდან ამონაწერს. კერძოდ, სახელდების კომისია გამოთქვამს თანხმობას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დიდი ჯიხაიშის მე-18 ქუჩისათვის, შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, **დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში,** სოფელ დიდი ჯიხაიშში, მე-18 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს), შალვა ნუცუბიძის სახელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, მე-18 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი